3-ს თებერვალს | წელიწადი მეორე. | 1884 წელსა.

მწყემსი

№ 3.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Шорапанъ. Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: განჩინება უწმიდესის სინოდისა.—საეკლესიო გალობის წარსული ჲ აწმყო.—სოფლის მღვდლის წერილები.—როგორი მოვლა აქვსთ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე ავათმყოფ შაგირდთა.— წერილი რედაქტორთან ლეჩხუმიდამ.—ქრისტიანია თუ თათარი?—სხვა ჲსხვა ამბები ჲ შენიშვნები.—ჟურნალ გაზეთთა მიმოხილვა.—სიტყვა საქართველოს ეგზარხოსის არხიეპისკოპოსის პავლესი.— კალენდარული ცნობები.— განცხადებანი.

ოფიციალური ნაწილი.

განჩინება უწმიდესის სინოდისა.

19-ს ოკდომბრიდამ—6 ნოემბრიდამ 1883 წლისა № 2118 მოსპობისათვის ნებადაურთველად პალესტინის წმიდა ადგილების სასარგებლოდ შეწირულებათა შეკრებისა.

უწმიდესმა **ს**ინოდმა მოისმინა წინადადება სინოდალნი ობერ-პროკურორისა, 30 სეკდემბრიდამ 1883 წლისა, № 10551, შუამდგომლობისა-მებრ იერუსალიმის პატრიარქისა მიღებისათვის ზომათა მოსასპობელად უკანონო ჲ ნება-დაურთველ შეწირულებათა შეკრებისათვის პალესტინის წმინდა ადგილთა სასარგებლოდ. ვბრძანეთ: მივიღეთ რა ყურადღებაში განცხადება პატრიარქისა, რომ რუსეთში მოგზაურობენ მრავალნი სპარსეთის ქვეშევრდომნი ნესტორიანი სარწმუნოებისანი, რომელნიც ჰკრებავენ ხალხში შეწირულებათა პალესტინის წმიდა ადგილთა სასარგებლოდ ჲ რომელთაც არა აქვსთ ამაზედ არც ვექილობა, არც მინდობილება იერუსალიმის პატრიარქისა ჲ არცა ნებართვა რუსეთის მართებლობისა, **უ**წმიდესი **ს**ინოდი განსარინებელად ჲ მოსასპობელად ასრე ნება-დაურთველად შეწირულებათა შეკრებისა თანახმად იერუსალიმის პატრიარქის შუამდგომლობისა განაწესებს: 1) გამოეცხადოს სასულიერო უწყებას, რომ რუსეთში არ არიან შეწირულებათა შემკრებნი პირნი დანდობილნი ჲ გამოგზანილნი იერუსალიმის პატრიარქისაგან შესაკრებ-

ლად შეწირულებათა სასარგებლოდ იერუსა-ლიმის წმიდა ადგილთა ჯ არავის არა აქვს ამაზედ კანონისა-მებრ მიცემული წიგნები შეწირულებათა ჩასაწერად გარდა შემდეგთა პატრიარქის წარმომადგენელთა პირთა, ჯ სა-ხელდობრ: ქალაქს მოსკოვში—წინამძღვარის იერუსალიმის პატრიარქის პოდვორიისა არ-ხიმანდრიტის არსენისა, ქალაქს ტალინროგში — სტავროპიღიალნის ალექსანდრე ნევსკის წინამძღვარის არხიმანდრიტის პარფენისა, კავ-კასიაში, საქართველოში, ქ. თბილისში—არხი-მანდრიტის ბესარიონსა ჯ იმერეთში, ქალაქს ქუთაისში—არხიმანდრიტის დამიანესა. 2) მიე-ცეს წინადადება ეპარხიის მღვდელ-მთავართა: ა, მიანდონ რწმუნებულთა მათდამი ეპარხიის მრევლის მღვდელთა, რომ მათ შთააგონონ თავიანთ მრევლთა ჯ აუხსნან ვნება, რომელიც წარმოსდგება ამნაირად ფულის შეკრებისაგან, როგორც შემწირველთა, აგრეთვე ᲩᲠᲘᲣᲢᲔᲡ საფლავისათვის, ჯ თუ შეტეობილ იქმნეს, რომ მათ სამრევლოებში დადიან მატეუარა წმიდა ადგილთა სასარგებლოდ ფულის შემ-კრებელნი, აცნობებდენ ამაზედ ადგილობრივ პოლიციას, ჯ ბ, მოახდინონ განკარგულება დაბეჭდვისათვის ზემო განცხადებისა ადგი-ლობრივ ეპარხიალურ უწყებებში.

ცირკულიარი შინაგანი საქმის მინისტრისა გუ-ბერნატორებთან.

18-ს ნოემბერს 1883 წელსა № 2266 დასამატებელად ცირკულიარნი წინადადებისა 26-ს სექტემბრიდამ ამა წლისა № 2013 ვალად ვსთვლი ვავუწყო უუ. გუბერნატორ-თა, რომელ ფულების შეკრების უფლებით იმპერიაში პალესტინის წმიდა ადგილების სასარგებლოდ გარდა იმ პირთა, რომელნიც იმა ცირკულიარში იყენენ მოხსენებულნი, სარ-გებლობენ აგრეთვე: პალესტინის მართლ-მადი-დებელი საზოგადოება ჯ კერძოდ ამ საზო-გადოების წევრნი, რომელთაც ვექილობა ექმნება ამ საზოგადოების რჩევისაგან უმაღ-ლესად დამტ. 8 მაისს 1882 წელსა (საზო-გადოების წესდება, სტატია 11, მუხ. ბ. ჯ გ.)—

არა ოფიციალური ნაწილი.

საეკლესიო გალობის წარსული და აწმყო.

ნაყვარელო მკითხველო! შენ, როგორც მსოფლიო ცხოვრების სხვა და სხვა მოვლინებათა ყურის მგდებელი, უსათუოდ დამეთანხმები მასზე, რომ დროება კაცის ყოველნაირ მოქმედებას თავის ფერს ადებს და ხდის სასიხარულო, ან სატირალი ბედის. ხვედრათ. ეს ჭეშმარიტებათ ითვლება საზოგადოთ და ესევე უნდა ვსთქვათ ზემოაღნიშნულის კითხვის შესახებ. თუ მას რაიმე სანატრელი და სასიხარულო ბედის-წერა სწეოდა, იმ შემთხვევაში ჩვენც არა გვეთქმეოდა-რა მის მეტი, რომ სახლში დავმჯდარიყავით და შეფრფინვით გვეყურებია მისთვის, მაგრამ როცა ეს ასე არ არის, სხვა რა გვმართებს ჩვენ ბედკრულებს, თუ არა გლოვა, ოხრვა და საჩივარი იმ დამაბრკოლებელ მიზეზებზე, რომლების მეოხებით დღეს გალობა ამ ნაირი მდგომარეობაში არის. მკურნალმა როგორ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდესო, უბნობს რუსთაველი, და ამა სიტყვებით დაიმედებულები აღარც ჩვენ ვხდით სათაკილოთ ჩვენი ოხვრის გამოაშკარებას.

ჯეცხრამეტე საუკუნის შუამდის საეკლესიო გალობას, ისე როგორც სხვას, ჩვენში, როგორც იყო, კიდევ თავისი ფერი ედო, მაგრამ სამოცი წლებიდგან დაწყებული ჩრდილოეთის შემონაბერმა ციემა ქარმა დასძლია სემხრეთის სითბოს, შეუბერ-შემოუბერა მას გვერდანებზე, დათრთვილა, დააზრო შემოდგომის ხის ფოთოლივით და ბოლოს სული ამოახდინა. ამა თუთხმეტი წლის წინათ, როცა სოფელ-ქალაქებში ძველი დროის ჩარჩენილი მღვდლები მსახურებდნენ, წირვა-ლოცვა მათ მეტად გაჩაღებული და გალობით შემკული ჰქონდათ. თვითონ ამა სტატიის დამწერი არის იმისთანა დროის მომსწრე, როცა ახალს დაზამთრებულს, თუ ყოველს წელიწადს არა, ორს-სამს წელიწადში ერთხელ მაინც ათთუთხმეტს ახალგაზდა ყმაწვილებს აგზავნიდნენ გურიაში, სადაც ისინი სპეციალურად სწავლობდნენ წირვის წესს გამშვენებით. მეტად სასიამოვნოს და სასიქადულოს ვერას ისმენდა და ვერც ნახავდა კაცი, როცა ეს ნასწავლი ახალგაზდა გლეხობა ბრუნდებოდა შინ; გაზაფხულზე და აღდგომის უქმეებზე გრძნობის გამტაცე და მრთელი კაცობის არსებობის დამატკბობელ ხმაზე თავის შეზავებულის გარმონიით გაჰკიკინებდნენ სხვა და სხვა ძილის პირებს, ტროპარებს, კონდაკებ' და სხვა. ნამეტურ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდენ ისინი მაყურებლებზე, როცა წირვის დროს ეკკლესიაში ორ პირათ განიყოფებოდნენ, გადგებოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ კლიროსებზე და ერთმანეთის ჯიბრობით, თავმომწონეთ, ათასნაირათ კვანწვადენ ხმებს, თითქო ცდილობდენ დაემტკიცებიათ მაყურებლებისათვის, არა ჩვენ ვჯობთო, არა ჩვენაო. აქ მუშაობით ილაჯ გამოლეულ და დაქანცულ გლეხს, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო ეს გალობა ავიწყებდა თავის დაღლილობას, გულს უტკბობდა, სულით აფხიზლებდა, ხორცით ამაგრებდა და ამ ნაირად ეს დაშლილი მეხანიზმი ძალა უნებურათ მზათ ხდებოდა ესმინა და დაემახსოვნა ყველა ის, რასაც ტაძარში იტყოდენ. ამისთანა ტკბილი და საკუთარ გემოვნებაზე შემოღებული გალობა არა ნაკლებ გავლენას ღებულობდა დედათა საზოგადოებაზე. ძალები, ეს გრძნობით მდიდარნი არსებანი, კარგა ბლომად დადიოდენ ეკკლესიაში იმ დროს, განა მარტო იმისთვის კი არა, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ, არა, იმისთვისაც, რომ მაშინ აქ ორ-სამ მხრიდგან მოისმოდა გალობა, რომელიცა დამატკბობელი სახით უჭღერავდა მათ გრძნობის ყოველ ნაირ სიმებსა; დაავიწყებინებდა ქვეყნიურ შფოთსა და შრომას და მოაგონებდა ზეციურ არსებათა...

ეკკლესიას გარდა ამ ახალგაზდა ყმაწვილების გალობა ისმოდა კიდევ—კვირა უქმი დღე ან დღესასწაულებზე, საზოგადო ყრილობაში, ან კიდევ, როგორც ეძახიან ქვემო იმერეთში, ჯარებში და წვეულობის დროს სუფრაზე. მათი გალობა ისმოდა ეგრეთვე გზაზე, სადაც სხვა დროს უიმისოთ გლეხი კაცის უწმინდურ სიტყვაობას და ზნეობით გამრყვნელ ლაზღანდრობას საზღვარი არა აქვს; ესევე რელიგიური გრძნობის აღმძვრელი და მზრდელი ძილის პირები ართობდა საყანეების არე-მარეში ფეხშიშველა, გულღია, ზევით სიცხისაგან შეწუხებულს, ქვევიდგან მიწის სიმხურვალისაგან სულ-შეხუთვილს, სიმშილისა და წყურვილისაგან შეძრუწუნებულს თოხში ჩამდგარ მუშა კაცს, რომელიცა ამდენი გაჭირვების მეოხებით, არა იშვიათად, მიეცემოდა სასოწარკვეთილებასა და ეშვის გმობას მიჰყოფდა ხელს, თუ ამ გალობას არ გაერთო ის ერთხანს მაინც და არ დაევიწყებინა მისთვის თავის მოუღალავი შრომა. ჩვენ იმ მგალობლებზე ლაპარაკსაც არ დავიწყებდით, რომ ამის მეტი სარფის მომცემნი არ ყოფილიყვნენ ისინი ჩვენთვის. თუმცა მათზე ესეც დიდი იყო,

მაგრამ მათი ხელოვნება უფრო შორს მიდიოდა კიდევ ამ შემთხვევაში. თუ წირვა-ლოცვის დროს ეკკლესიაში და ლხინის დროს სავსე სუფრაზე უტკბობდნენ იგინი სმენას თანამედროვე მოძმეებს, მოკლეთა ვსთქვათ, თუ დალხინებაში იყვნენ ეს მოგალობენი ყოჩაღები, მის მაგივრათ არც გაჭირვებაში გახლდნენ ისინი ლაჩრები. რომელ მკითხველმა არ იცის ქართველების ადათი და ჩვეულება ტირილის დროს! აი ამ დროს, როცა რომელიმე მათ თანამოძმეთაგანს ვინმე მოუკვდებოდა, მოვიდოდენ ეს ყმაწვილები და მწუხარების აღმძვრელ კილოზე „ზარს“ გაიძახოდნენ და მით ამშვენებდნენ ხელგულ-დაკრეფილ მეზობელს და მისს ჭირისუფალს. ეს გალობა მარტო ერთსა და იმავე პირების ხელში არ რჩებოდა, ის, ზეპირ ვედრებასავით, ერთის ყურისაგან მეორე კაცის ყურში გადადიოდა, მეორედგან-მესამეში, მეათედგან-მეოცეში და ამ ნაირათ კერძოთ მოპოვებული გონებითი სიმდიდრე თან და თან ვრცელდებოდა ახალ-გაზდა გლეხკაცობაში და საზოგადო ლუკმათ ხდებოდა. ხშირად, ძლიერ ხშირათ ხდებოდა იმისთანა შემთხვევაები—მაგალითები, რომ ზოგიერთა „ბიჭუნაკები“, ორი-სამი გაგონების შემდეგ, ისეთის კრიმანჭულს ხმაზედ შემოსძახებდნენ ამ ძილისპირებს და, რასაკვირველია, ისეთის სინამდვილით, რომ მაყურებელს ეგონებოდა, თითქო ეს-ესაა თავის გამდლის ხელისაგან გამოსულ არიანო. ამისთანა წარმატებაში მდგომიარე გალობას საზოგადო პროგრესსის ძალით უფრო უკეთესი ბედი უნდა სწეოდა მომავალში, ე. ი. უფრო უნდა გავრცელებულიყო და გაუმჯობესებულიყო, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, სოფლის მუხანათობამ ადრე უცვალა მას კვალი და ერთბაშათ ამოაძრო საწყალ გლეხს პირიდგან.

ჰას აქვთ, რაც ეს ძველი მიმართულობის და გემოვნების მღვდლები გადაგველო, და მათ მაგივრათ ეს ალაგები ახალი გემოვნების მღვდლებმა დაიჭირეს, საეკკლესიო გალობა „ორ პირათ“-გან ჯერ გადავიდა „ერთ პირზე“ და ბოლოს ერთ ლიტონა კაცზე, რომელიცა ეთის მადლით დღეს თუ ხვალ იძულებული ხდება ხმა გაკმინდოს, არამც თუ მარტო იმისათვის, რომ ის ცოდნითა და მომზადებით ვერა სწვდება უწინდლებს; დღეს, როცა მთავრობა მოწყალე თვალით გვიყურებს და ვალდებულათ გვხდის კიდევაც ქართულ გალობას უწინდელი ალაგი ეჭიროს ჩვენში, შევდივართ ეკკლესიაში და სასოების მაგივრათ ზიზღი მოგვდის გულზე: მღვდელი, ნამეტანის კოხტაობით ხმის ამოღებასაც არ კადრულობს და, ან თუ კადრულობს, ისე იმანჭება, ისე უჭირებს ერთმანეთს ღრანჭებს, რომ გარეგან მაყურებელს ვიდაც „გადამთიელი“ კაცი ეგონება. ერთი უნდა იყოს: ან სწავლა უშლის ხელს, ან უსწავლელობა! ეს კიდევ არაფერი. მიიხედავ გვერდზე და დაინახავ „დიაკვანს“, (მედავითნეს) რომელსაც ბევრის კითხვით ილაჯი გამოლეეია, და დაქანცულა მგალობლობის მოვალეობის ასასრულებლადაც გადაყუდებია საწიგნეს და „უფალო შეგვიწყალეს“ ჰგალობს. მერმე როგორ ხმაზე?! ისეთ შეუზავებელ და შეუთვისებელ ხმაზე, რომ ცოტა გემო გახსნილი მსმენელი, ვიტყვი შეუმცთარათ, გრძნობაში კი არ მოჰყავს სულ უკარგავს მას ლოცვის მდომას. მღვდელი, რომ „მშვიდობიანს“ უბნობს დაბალ ხმაზე დიაკვანი ჰაერში გაჰყვირის, და მათი ხმები სრულებით არ უდგება ერთმანეთს. არც გეგონოს მკითხველო, რომ ეს მარტო სოფლის მიყრუებული კუთხეებში იყოს ასე. ამასვე დაინახავ შენი ლამაზი თვალებით, თუ შებრძანდები ქალაქების ზოგიერთთა ეკკლესიებშიაც.

ჰათი უნდა აიხსნას ამისთანა ანორმალური მოვლინება? დაგვეკითხება ზოგიერთი ცნობის მოყვარე მკითხველი. ბევრი მიზეზები უშლის ხელს ამ საქმეს, მაგრამ ყველაზე მეტათ ის, რომ თვითონ ეხლა ნასწავლმა მღვდლებმაც არ იციან ეკკლესიური გალობა. და პრიჩეტნიკებზე რაღა ითქმის? ასე, სიღარიბე, დაუდეგნელობა, გულგრილობა და უცოდინარობა უწყობს ხელს, რომ გალობა სულ ამოიფხერას და დროა ამ საგანს კაცმა ყურადღება მიაქციოს, ვიდრემდის კიდევ არსებობს სოფლებში ძველი გალობა.

მ. ფ.

სოფლის მღვდლის წერილები.

II.

სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე დიდი ხანია რაც ლაპარაკი და წერა არის აღდგენილი. ამ საგანზე იმდენი დაწერილა, რომ თითქმის ყველას თავი აქვს მობეზრებული. ამ მრავალი წერისა, ლაპარაკისა და მსჯელობისაგან ბევრი არაფერი გამოვიდა. როგორც ყოველ შემთხვევაში, ისე ამ საგნის მსჯელობაშიაც ორნაირი მოაზრენი აღმოჩნდენ საზოგადოებაში და მწერლობაში. ერთი მხარე თანამგრძნობელია სამღვდელოების ნივთიერად გაუმჯობესობისა; მაგრამ მეორე მხარე საზოგადოებისა და მწერლებისა წინააღმდეგია ამის. ერთი ამბობს: „მღვდლების მდგომარეობა გაუმჯობესებული უნდა იყოს. მათ უნდა ჰქონდეს ჯამაგირი დანიშნული ისე, როგორც სხვა სახელმწიფო მოსამსახურე თანამდებობის პირებს აქვსთ. მღვდელი მარტო თავის თანამდებობის აღსრულებაზე უნდა ზრუნავდეს და ნიადაგ მაზედ ფიქრობდეს და არა—თოხნიდეს, ხვნიდეს და მუშაობდეს თავისი ლუკმისათვის, მთელს სახელმწიფოში მრავალია იმისთანა მოსამსახურე პირები, რომელნიც მღვდლისოდენს თავის თანამდებობის აღსრულებაზე არ შრომობენ, მაგრამ ერთი ათად მეტს ჯამაგირს იღებენ მღვდლებზე.

ბევრე ნაწილი საზოგადოებისა და, სამწუხაროდ, ზოგიერთი მწერლებისა წარმოადგენენ თავის უსაფუძვლო და მახინჯ აზრებს მღვდლების ცხოვრების ნივთიერად გაუმჯობესების შესახებ. ისინი ამბობენ: „რათ უნდა მღვდლებს ჯამაგირი? განა ცოტა შესავალი აქვსთ მათ? ისინი იღებენ მკვდრებისა და ცოცხლებისაგან. რამდენიც უნდა დაუნიშნოთ მათ ჯამაგირი, ისინი მაინც კმაყოფილნი არ იქმნებიან. ჯამაგირი რომ დანიშნოსთ მათ, მაშინ გაამპარტავნდებიან და გაზარმაცდებიან; მრევლი მათ ველარ იშოვის თავის დროზე. ახლა თუ სამრევლოს მიყვებიან მღვდელ მოქმედების აღსრულებისათვის მისთვის, რომ საჩუქარს მოელიან; მაშინ კი, როდესაც ჯამაგირს აიღებენ ხაზინიდგან, სრულებით ხმას ალარ გაცემენ თავის მრევლსა“. დასამტკიცებელად ამისთანა უსაფუძვლო აზრთა და სამღვდელოების სიხარბისა მოიყვანებენ მაგალითად ფრანგების სამღვდელოებათა, თათრების მოლებთა და ებრაელების რაბინებთა. „არასოდეს, ამბობენ იგინი, არ აღძრულა კითხვა და მსჯელობა მათ ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე; ისინი კმაყოფილნი არიან, არც მთაურობას და არც საზოგადოებას არ აწუხებენ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.“ ზოგი, სამწუხაროდ, ნასწავლნი პირნი იმა აზრისანი არიან, რომ სამღვდელოებას ცოლები არ უნდა ჰყავდესთ, რომ უფრო ადვილად შეიძლონ მათი შენახვა სამრევლოთა.

ნაზოგადოებაში, რასაკვირველია, ამისთანა უსაფუძვლო აზრების მომხრენი უფრო მრავალნი არიან. რადგან მრავალთა არ შეუძლიათ სწორი მსჯელობა შეადგინონ არა მარტო ამ საგანზე, არამედ სხვა საგნებზედაც... მაგრამ ვინც კარგად დაფიქრდება და საქმეს რიგიანად დააკვირდება, ადვილად მიხვდება, რომ ძლიერ უსაფუძვლო აზრები აქვს სამღვდელოებაზე შედგენილი ნამეტან წაწილს საზოგადოებისას.

ეამბობენ: „მღვდლები იღებენ მკვდრებისა და ცოცხლებისაგან“; მაგრამ რამდენს იღებენ?—ამის განხილვაში აღარავინ შედის! გამოცხადებულია თითქმის ყოველგან რას აძლევენ მღვდელს გარდაცვალებულის დამარხვაზე და გვირგვინის საკურთხს. შეიტყო, თითქმის, ყველამ, რომ მღვდელს აძლევენ გარდაცვალებულის დამარხვაზე და ყველა წესის აღსრულებისთვის 3—10 მანეთადმდე და გვირგვინის კურთხევაზე 1—5 მანეთადმდე. დანარჩენი მღვდელ მოქმედებაების შესრულების საჩუქარი არა ღირს კაცმა მოიხსენიოს; ის არ აღემატება მანეთს. წლიური გარდაწყვეტილი დრამა, ანუ დრამის ფული შეადგენს ორ მანეთს, სამზე მეტს—არასოდეს. ყველა ესენი რომ იანგარიშო, წელიწადში მღვდილის და ორი მედავითნის შემოსავალს შეადგენს საშუალო რიცხვით 150 — 300 მანეთი. სამს ცოლშვილიან კაცს ეძლევა ჯამაგირათ 300 მ.! აი ეს შემოსავალი მიიჩნიათ დიდ შემოსავლად. სამას მანეთს ჯამაგირს იღებენ ზოგიერთი მწერლები და თითქმის „სტოროჟები!“

ეგვირგვინის კურთხევის შესრულებისათვის მღვდელს აძლევენ საშუალო რიცხვით 1—3 მანეთადმდე. ახლა არ იანგარიშებთ, რამდენი უნდა იშრომოს? ჯერეთ გვირგვინის კურთხევის შესრულებამდის უნდა მოახდინოს გამოკვლევა, შეკრიბოს ცნობები, შეადგინოს „ობისკი“ და გვირგვინის კურთხევის შემდეგ ჩასწეროს მეტრიკაში. რასაც გვირგვინის კურთხევის საეკკლესიო საბუთებში ჩაწერისათვის მღვდელი იშრომებს, ყოველი ნატარიუსი ამ შრომისთვის არ დაჯერდება არა თუ სამს, არც ათთ მანეთს, მაგრამ იმათზე არავინ არ იტყვის: „მკვდარსაც ახდევინებს და ცოცხალსაცაო“. ახლა რამდენი წავა ისე, რომ სრულებით არაფერს მისცემს მღვდელს საგვირგვინოს? თვითონ ამ სტრიქონების

დამწერს შემხვდა მრავალ გზის, რომ საგვირგვინო არ მოუციათ სრულებით არც ერთი კაპეიკი. ამას არ ვიტყოდი, რომ ის პირები, რომელთაც გვირგვინი უკურთხე, ღარიბნი ყოფილიყვნენ. მაგრამ მათ ისარგებლეს მით, რომ არასოდეს ჩვეულებათ არ მქონებია და არც მაქვს მღვდელ-მოქმედების აღსრულებამდისინ ვისმეს რამე ვსთხოვო...

ამბობენ, ,,რამდენიც უნდა დაუნიშნოთ მათ ჯამაგირი მაინც კმაყოფილნი არ იქმნებიან".

არიან ქალაქებში მღვდლები, რომელნიც სხვა-და-სხვა თანამდებობის აღსრულებისათვის ჯამაგირს იღებენ **1000 — 2000** მანეთამდმდე. ისინი ძლიერ კმაყოფილნი არიან და არავის არ აწუხებენ მათი მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის. ამისთანა მაგალითები მრავალია. ჩვენ არ ვიტყვით იმას, რომ ერთი ორი სამღვდელო პირებშიაც არ გამოერიოს ხარბნი, მაგრამ ეს განა სასულიერო წოდებაშია მარტო? რატომ არ მიაქცევენ ყურადღებას საერო წოდების მოსამსახურე პირთა? მათ ყოველთვის ჯამაგირი მეტი აქვსთ დანიშნული; მაგრამ განა კმაყოფილდებიან თავის ჯამაგირით? აღარ იღებენ ქრთამებს? აღარ იპარვენ სახელმწიფო და საზოგადო ფულებს? არ ტეხენ ხაზინებს?

ღარბი და უკმაყოფილო თავის მდგომარეობით ყველა წოდებაშია, მაგრამ ერთი და ორი მაგალითით არ შეიძლება კაცმა საზოგადო დასკვნა გამოიყვანოს.

ესევე ითქმის იმ აზრზედაც, რომ ვითომც მღვდლები გაამპარტავნდებიან და გაზარმაცდებიან, ჯამაგირი რომ მიიღონ. მაშ ყველა სახელმწიფო მოსამსახურე პირები, რომელნიც ათას მანეთობით, ორი და ოთხი ათასობით ჯამაგირს იღებენ, გაამპარტავნებულნი და გაზარმაცებულნი არიან და გულით და მუყიათად თავის თანამდებობას აღარ ასრულებენ!. თუ ჯამაგირის დანიშვნა მოსამსახურეს გააფუჭებს და გააზარმაცებს, რათ უნიშვნენ საერო წოდების მოსამსახურე პირთა და, ხშირად მარტო ჯამაგირს არ აჯერებენ, მალ-მალე ასაჩუქრებენ კიდეც. მაგრამ არა; ამას ბრძანებს ისეთი მოსამსახურე პირი, რომელიც ათას თუმნობით ჯამაგირს იღებს და სამღვდელოების თავიანთ სამრევლოსთან დამოკიდებულების სრულებით არა გაეგება-რა. მართლაც, ამისთანა პირები, როგორც თავის თავზე ფიქრობენ, ისე სჯიან სხვაზედაც.

სამღვდელოების მოთხოვნილება მაინც და მაინც ბევრი არ არის. ისინი თხოულობენ იმდენი ფულის დანიშვნას, რამდენიც მათთვის საცხოვრებლად საჭიროა. იმდენი უნდა დაენიშნოს მრევლთაგან, რომ თავისი ხელით აღარ თოხნიდეს და მუშაობდეს დღიური ლუკმისათვის. ისინი არასოდეს არ თხოულობენ იმდენს, რამდენსაც საეროციელო წოდების პირნი მოითხოვენ.

კარგად ხედავს ყველა, ვინც საქმეს რიგიანად აკვირდება, რომ ფრანგების სამღვდელოება ძლიერ კარგად არის მომზადებული თავის მოვალეობის ასრულებისათვის. მათ აქვს მშვენიერი სადგომი, შეშა და ყველა ოჯახის მოწყობილება. ამასთან აქვსთ ან ჯამაგირი და ან ეკკლესიის შემოსავალი. მათ ეძლევა იმდენი, რამდენიც მათი ცხოვრებისათვის საჭიროა არის. იმას არა თუ თვითონ აკლია რამე, არამედ აქვს იმდენი შეძლება და საშუალება, ეკკლესიის და საზოგადოებისაგან მინიჭებული, რომ ზოგიერთ გაჭირვებულთაც დაეხმაროს. მათში საზოგადოებას და სასულიერო მთავრობას იმდენი უცდია და მოუხერხებია, რომ თავიანთი სამღვდელოება აამოროს სამრევლოში სათხოვრათ სიარულს. იქ, სადაც ასე კარგად დაუწყვიათ ერთხელვე საქმე, რასაკვირველია, საჭირო აღარ არის წერა და ლაპარაკი მათი მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

,,რისთვის არ ჩივიან თავის ნივთიერ მდგომარეობაზე თათრის მოლლები?".

მოლლები არიან ვაჭრები; იმათ სრულებით მათი სჯული არ უშლის, რომ მოკიდოს ისეთ რამე ხელოსნობის საქმეს ხელი, რომელიც ჩვენი სამღვდელოებისათვის ფრიად სასტიკად არის აღკრძალული. ამას გარდა ისინი იღებენ მეათედ ნაწილს ყოველ გვარის შემოსავლისაგან თავიანთ სამრევლოში. მათში მათი სჯულით დადებულია სიძემ ,,ყალიმი" (მზითვის მსგავსია) უნდა მიუტანოს საცოლოს, ანუ მის პატრონს. ამ ფულების მეათედი მოლლის არის. ამ მეათედიდამ მოლლას ერგება ყოველთვის არა ნაკლები სამი თუმნისა. ჩვენში რას აძლევენ მღვდლებს გვირგვინის საკურთხათ? გლეხები ერთი მანეთიდამ სამ მანეთამდე და თავად აზნაურობა საშუალ რიცხვით **5—15** მანეთამდმდე. მზითვის მეათედს, რომ მღვდელს მისცემდენ ზოგიერთ ადგილას, დარწმუნებული ვარ არასოდეს ლაპარაკი არ აღიძრება სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ყველა ესეები ვინაც დაწვლილებით არ იცის, ლაპარაკობს და, სამწუხაროდ, სწერს კიდეც სამღვდელოების სიხარბეზე ისეთ რამე უსაფუძვლოს, რომ არ დაიმსახურებს არა ვითარ ყურადღებას და პატივს და ამისთანა უსაფუძვლო წერა და ლაპარაკი საკმაოა ზოგიერთ სუსტ გონებიან პირთათვის დასარწმუნებლად, რომ ჩვენი სამღვდელოება, ვითომც, ყველა

სხვა სარწმუნოების სამღვდელოებაზე ხარბი იყოს.

დრო არის მოიფიქროს საზოგადოებამ და იხმაროს ყოველი ღონისძიება და გამოიყვანოს თავისი მოძღვრები იმ დაბრკოლებათაგან, რომელნიც მათ ხელს უშლიან და აბრკოლებენ მათი დიდი მოვალეობის აღსრულებაში...

როგორი მოვლა აქვსთ ავათმყოფ შაგირდებს ჩვენ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში.

კარგი ხანი არის, რაც ჩვენმა სამღვდელოებამ იგრძნო თავიანთ მოსწავლე შვილების ავათმყოფობის დროს გაჭირვებული მდგომარეობა. იგრძნო, თუ რა დიდი ძვირფასი ყოფილა კაცისათვის ტან-მრთელობა და საჭიროთ იცნო მისი, შეძლების დაგვარად, დაცვა. ავათმყოფებისთვისააშენა საავათმყოფო სახლი, მოაწყო, როგორც რიგია, დაიყენა ექიმი, რომელსაც დაუნიშნა ჯამაგირი როგორც ექიმს, ისე ფერშალს და სასწავლებელში ბინაც მისცეს, შეშაც, სანთელიც და ხარჯიც, რომ უფრო გულმოდგინეთ და ნიადაგ თვალ-ყური ედო ავათმყოფებისათვის.

სამღვდელოება სრულებით დაიმედებულია და ფიქრობს, თუ ვინიცობაა მათი შვილი ავათ გახდა, ექიმი და ფერშალი ნიადაგ თავზე ადგიან და მოუვლის მათო. მაგრამ რამდენად უვლიან და ყურს უგდებენ იაინი ავათ გამხდარ ბავშვებს, ამას ქვემო ნათქვამიდამ შეიტყობთ.

1883 წლის ენკენის თვეში მე შევიყვანე ჩემი ძმისწული, 9 წლის ყმაწვილი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ამ ყმაწვილს რაღაც მიზეზის გამო ასტკივნოდა ორივე თვალები. ერთ კვირეს, თურმე, ტკივილს არ გრძნობდა, თუმც დაწითლებული ძლიერ ჰქონდა თვალები; მაგრამ ყურადღების მიმქცევი კაცი არ ვინ გამოჩენია. (კიდევ ღმერთმა უშველოს მის მასწავლებელს ბ. პაჭარავას, რომელსაც ესწავლებია ფერშალთან მისვლა.) ყმაწვილი მაშინვე მისულა ფერშლის ბინაზე, მაგრამ უთხრობიათ: „კერძო ავათმყოფებთან არისო, მობრძანდებს და მაშინ მოდითო.“ მივა მეორე დღეს და ჰპოებს შინ ბ. ფერშალს, რომელიც ახედ-დახედავს და უბრძანებს: „წადი მენ ჩვენ ექიმ ნაცვალოვთან, ხომ იცი სად დგას?“ (სწავლის ექიმის ბინას). მიდის ყმაწვილი მეოთხე დღეს ბ. ნაცვალოვთან, დგას ორი-სამი საათი კარიდორში და სიცივეში კანკალებს. ამ დროს გამოდის ბიჭი და ეუბნება: „ექიმი, ბავშვებო შინ არ ბრძანდება და ხვალ მოდითო“ მეხუთე დღესაც მიდის ყმაწვილი და, შემდეგ ჩვეულებრივი ლოდინისა, ეუბნებიან, რომ მერე შემოდიო და სხვანი. ასე ამგვარის წვალების შემდეგ, როგორც იქმნა, ეღირსა ავათმყოფს ექიმის ნახვა მეორე კვირეში, მაშინ, როდესაც სნეულებამ მაგრა ფესვები გაიდგა და მოსარჩენიც ძლიერ ძნელი შეიქმნა. იმ დღეს, რომელ დღესაც მე მომიხდა შემთხვევით ქუთაისში ჩამოსვლა, ენახა ექიმს ბავშვი და მიეცა რაღაც თეთრი წამალი თვალებში ჩასაყრელი. იმისთანა თქვენს მტერს მე ბავშვის დანახვით უეცრივ გულზედ ელდა მეცა; გამოვკითხე ყველაფერი ბავშვს და მან მიამბო ყველა ეს ზემორე ნათქვამი. ამგვარ უყურადღებლობამ გააძნელა ავათმყოფობა, დაუწყო წვა თვალებმა, გამოუვიდა მუწუკი თვალის კაკალზე, რომელიც თვალის კაკლისკენ იწევდა და დაბრმავებას ექადებოდა ბავშს. იმ წამსვე წავიყვანე ტფილისში ბავშვი თვალების ექიმ ბ. რეიხთან, რომელმაც რამდენიმე ხნის ექიმობის შემდეგ, დაიხსნა ყმაწვილი საუკუნოთ დამახინჯების და სიბრმავისაგან. თუ რამდენი დამეხარჯა მისვლა მოსვლაში—ერთს კვირეს ქალაქში ცხოვრებაში და ექიმობაში და შემდეგ ქუთაისში—ამას ყოველი მკითხველი ადვილად მიხვდება, ვინც კი ერთჯერ მაინც ყოფილა ქალაქში და ჰქონია საქმე ჩვენ ექიმებთან; მაშინ როდესაც ერთს კვირეს განთავისუფლდებოდა ყმაწვილი და უფრო იაფათაც მორჩებოდა, რომ დროზე ყურადღების მიმქცევი კაცი ყოლოდა. ეს კიდევ, მადლობა ღმერთს, მე შევიძელი და უშველე დროზე, მაგრამ იმან რაღა უნდა ქნას, რომელსაც ლუკმა პურის ჭამა უჭირს, რად უნდა დახარჯოს 200 მანეთი, რომელიც მე დამეხარჯა თვალების საექიმოში, საწყალმა შეგირდის მშობლებმა და ხომ უნდა ტყვილათ დამახინჯდეს და ან უნდა გახდეს საუკუნო მსხვერპლათ ამ გვარი ექიმების უყურადღებლობის შემწეობით? ეს სამწუხარო მოვლენა წარმომიდგენია ჩვენის სამღვდელოების საყურადღებოთ და, იმედია, მიაქცევენ ჯეროვანს ყურადღებას. შეიძლება, ექიმმა სთქვას, რომ მას დიდი ჯამაგირი არ ეძლევა სამღვდელოებისაგან; მაგრამ ექიმმაც არ უნდა დაივიწყოს ის, რომ ცოტა შრომა მოელის მას სასწავლებელში. როგორც უნდა იქნეს, ექიმი ვალდებულია თითოჯერ მივიდეს დღეში სასწავლებლის საავათმყოფოში და დახედოს, თუ არის ვინმე ავათ. ექიმმა რომ ყველა

ავათმყოფები თავის ბინაზე დაიბაროს განა ეს შეიძლება?

ძლიერ საჭირო არის, რომ გამოცხადებული იქმნეს ანგარიში საავათმყოფოსი: საშუალო რიცხვით რამდენი არის ხოლმე ავათმყოფი წელიწადში და რამდენჯერ მისულა ექიმი ავათმყოფების საექიმოდ. თუ სამღვდელოება დაინახავს მის დიდ შრომას, შეიძლება ჯამაგირიც მოუმატოს სასწავლებლის ექიმს. ძლივს გაკეთდა საავათმყოფო და თუ ავათმყოფებს თვალ-ყურის მგდებელი არ ეყოლათ, ძლიერ სამწუხარო იქმნება.

ქვირილის ნორმალური სკოლის მასწავლებელი
თეოფ. ხუსკივაძე.

წერილი რედაქტორთან.

ლეჩხუმიდამ. სახალხო სკოლები რაჭა-ლეჩხუმისა კარგა რიგიანათ მიდიოდნენ წინეთ და თავის დანიშნულებას ასრულებდნენ; ძნელათ იპოვიდით იმისთანა სკოლას, რომ ბევრად თუ ცოტად, წარმატება არ შეგემჩნიათ და 30—25 მოსწავლე არ გენახათ სასწავლებელში. მიამებოდა, იმ ხანებში, სახალხო სკოლების ნახვა რაჭა-ლეჩხუმშიდ.

სწორედ ეს ფეხის ადგმა და კარგი-რიგიანი წინ წაწევა რაჭა-ლეჩხუმის სახალხო-სკოლებისა იყო იმ დროს, როცა რაჭაშიდ მაზრის უმფროსად იმყოფებოდა ბ. თ. ჩიჯავაძე და ლეჩხუმში—განსვენებული მაზრის უფროსი—მრინევსკი.

ამ ხსენებულთა პირთა დაარსეს უმაღლესის მართებლობის ნება-დართვით რაჭა-ლეჩხუმშიდ სახალხო-სკოლები; ეხმარებოდნენ და ზრუნავდნენ მათთვის, ყურადღებასაც აქცევდნენ ყოველს სკოლის საჭიროებას. ხშირად ტყობილობდნენ სკოლების მდგომარეობას, შეამჩნევდნენ თუ არა სკოლებსა და მათ მასწავლებლებსა რაჲმე ცუდს მდგომარეობას, მზათ იყვნენ მოეპოებინათ საშუალება და დახმარებოდნენ მათ. ამიტომ იმ დროით, მათის წყალობით, სკოლები და მათი მასწავლებლები მათ მაზრებშიდ წარმატებაში იყვნენ. მას შემდეგ კი, რაც ეს მაზრის უფროსები დაშორდნენ ჩვენს რაჭა-ლეჩხუმსა, სწორე გითხრათ, ცოტა არ იყოს, სკოლებს ვერ ვუყურებთ წინანდელ მდგომარეობაშიდ. სკოლებსა და მათ მასწავლებლებსა სულ შეუმცირდათ ხელის წყობა: გლეხებმა სკოლებშიდ შვილების მიცემა სულ შეასუსტეს; სკოლებშიდ მიღებული ყმაწვილები გაყავთ და სწავლას თავს ანებებინებენ; მასწავლებლებს რიგიანათ და თავის დროზედ ჯამაგირს არ აღირსებენ, რომ მათ თავი ისაზრდოვონ; ზოგან სასწავლებელის სახლები თავის მორთულობით დანგრეულნი და გაფუჭებულნი არიან; სტოროჟსა და შეშას სულ მოკლებულნი არიან. ამიტომ სკოლები სამწუხარო სურათს წარმოგვიდგენენ; ძნელად იპოვით ეხლა იმათშიდ 15 და 20-ზედ მომეტებულს მოსწავლეს და იმათაც ღარიბ მდგომარეობაშიდ. თუმცა მასწავლებლები ცდილობენ დაჩინონ რაიმე კვალი თავის სასწავლებლებსა, გარნა ბევრი ნაკლულევანებანი მათ შრომას ხელს უშლიან. არც ერთი დაწესებულება არა თხოვილობს, ჩემის აზრით, ესოდენ ხელის წყობას, რამდენსაც ელემენტარული სკოლები. რადგან ბედი და უბედობა ხალხისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მომავალის ახალი თაობისა, დამოკიდებულია სკოლის წარმატებაზედ, —ამიტომ სრული იმედი გვაქვს ვისაგანაც ჯერ არს, ეცდებიან თავის მხრით და ყურადღებას მიაქცევენ ამისთანა ხალხისთვის საჭირო საქმეს.

სკოლის მასწავლებელი, მღვდელი ნ. ფ.

ქრისტიანია თუ თათარი?

ამას წინეთ გაზეთ „დროებაში" იყო დაბეჭდილი ერთი ყოვლად შესაძრუწუნებული ამბავი, რომელიც მომხდარიყო გორის მაზრაში, სოფელს ტბეთს. საქმე აი რაშია. წესიერების აღდგინებისათვის გამოგზავნილი ყოფილიყო ამ სოფელში რამდენიმე ყაზახი რუსები, რომელთა უმფროსს, ბ. სერებრიაკოვს, ჩამომავლობით კაბარდოელს, მოუტაცნინებია ერთი ოსის გლეხი კაცის გასათხოვარი ქალი და მიუყვანინებია ბინაზე. ამ ამბავზე ბ. სერებრიაკოვს თავის გასამართლებლად პასუხი გაუგზავნია გაზეთს „ნოვოე ობოზრენიეში". ამ პასუხში ბ. სერებრიაკოვი მართლულობს თავს მით, რომ ის არის შთამომავლობით კაბარდოელი, მტკიცედ აღმასრულებელი და მიმდევი თავის მამაპაპის ჩვეულებათა. „ჩვენი რჯული ნებას გვაძლევს, ამბობს, ბ. სერებრიაკოვი, წერილობითი მორიგებით ქალის ცოლად წაყვანას და ამისთანა მოტაცებაც, თითქმის, ჩვენს რჯულში გვირგვინის კურთხევის წესს შეადგენს." საერო წოდების გაზეთებმა რიგიანად მიაქციეს ამისთანა საზიზღარ საქციელს ყურადღება და, იმედია, სახორციელო

მმართებლობა უყურადღებოთ არ დასტოვებს ბ. სერებრიაკოვის მოქმედებას...

მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით არ შეგვიძლია არ მივაქციოთ ყურადღება ერთ საგანს, რომელიც შეუნიშნავად დარჩა: ბ. სერებრიაკოვმა თავისი პასუხით მკითხველი საზოგადოება და გაზეთებიც შეცთომაში შეიყვანა და აფიქრებინა მათ, რომ ის, ვითომც, როგორც კაბარდოელი, სარწმუნოებით უზნეობათ არა სთვლის თავის ამისთანა საქციელს და მისი სჯულის წინააღმდეგს ვერაფერს ხედავს ამ გვარ ქალის მოტაცებაში და მასთან უკანონო კავშირის დამოკიდებულებაში. ამ შემთხვევაში ბ. სერებრიაკოვი ძლიერ შემცდარია. იმან თავისი სჯული დასტოვა დიდი ხანია და ქრისტიანობის სარწმუნოებაზე მოინათლა. მონათვლის შემდეგ იმან დასტოვა ყველა უსჯულოთა უზნეო ჩვეულებაები და აღიარა მართლმადიდებელი სარწმუნოება, რომელიც არავის ნებას არ აძლევს ქალის მოტაცებისას და ხელწერილებით მასთან ცოლქრმული კავშირის დამოკიდებულებისას. ბ. სერებრიაკოვს, რამდენადაც ვიცით ჩვენ, ჰყავს ცოლი და მეორე ცოლის ყოლებას მაჰმადის სარწმუნოება თუ აძლევს კაცს, თორემ ქრისტიანობის სარწმუნოება—არასოდეს. ბ. სერებრიაკოვი, თუმცა ერთხელ მონათლულია ქრისტიანად, მაგრამ, როგორც მისი პასუხისაგან სჩანს, ის ისევე დაბრუნებია თავის მამაპაპურ სჯულს და ჩვეულებასა,—მას არ უნდა დასტოვოს იგინი, რამდენჯერაც უნდა მონათლოთ. მივაქცევთ ამ გარემოებაზე მისი, მოძღვრის და სასულიერო მთავრობის ყურადღებას.

სხვა და სხვა ამბები და შენიშვნები.

როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, ბ. საბინინი, კანდიდატი ღვთის მეტყველებისა, მიიქცა მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეკზარხოსის პავლესადმი თხოვნით, რომ გამოაწერინოს ეკკლესიებს მისგან შედგენილი ალეოგრაფიული ნახატი წმიდა მოციქულთა სწორისა ,,ნინასი,‘‘ თითო ხატის ფასი აქვს დანიშნული მანეთ ნახევარი გაუგზავნელად.

საქართველოს ექსარხოსმა მოახდინა განკარგულება და გამოუცხადა მთელს საექსარხოსო სამღვდელოებას, რომ შეუძლიანთ ყველამ გამოიწერონ თავიანთ ეკკლესიებისთვის თუ სურთ, რასაკვირველია, ეკკლესიის ფულებით. მთელ საექსარხოსოში მიახლოვებით ირიცხება ათას ოთხასი შტატის ეკკლესია (1400) და ყველა ეკკლესიამ თუ გამოიწერა, ფული მოგროვდება ორი ათას მანეთამდი. ამბობენ, რომ სურათი მშვენიერად არის შედგენილიო, მაგრამ რამდენათ ეღირება მისი დამზადება და მასალა ეს არვიცით.

***

წარსულ წელში გამოიცა უწმიდესი სინოდის განკარგულებით ახალი კონსისტორიის წესდება. ეს წესდება ახალი რამე არ არის; სასულიერო კონსისტორიის წესდება, შედგენილი და გამოცემული 1841 წლისა, არის შევსებული იმისთანა სახელმძღვანელო განჩინებაებით, რომელნიც არიან გამოსულნი 1841 წელს შემდეგ. უწმიდესმა სინოდმა გარდაწყვიტა, რომ ეს წესდება დარიგდეს ყველა მრევლის ეკკლესიებზე ორმოცდა ხუთ კაპეიკათ. საქართველოს საექსარხოსოშიაც იბოჭება თითო ეკკლესიიდგან 45 კაპ. მართლა ძლიერ საჭირო არის, რომ თვითეულ ეკკლესიაზედ იყოს თითო სასულიერო კონსისტორიათა წესდება, მაგრამ ჩვენ ეკკლესიებში ჩვენი სამღვდელოებისათვის არა ვითარი მნიშვნელობა არ ექმნება მათ, აქ საჭირო იყო ისინი ქართულად გადათარგმნილიყო და ქართულ ენაზე დარიგებულიყო ეკკლესიებზე. იმედია, რომ ამას მიაქცევს სინოდალნის კანტორა ყურადღებას და დაეხმარება სამღვდელოებას და მისცემს საშუალებას ცოტათი მაინც გაიგონ ის წესდება, რომლითაც ისინი გასამართლდებიან.

***

ქ. ქუთაისში გახსნა ერთმა ქუთათურმა მოქალაქე სომეხმა პასიკოვმა წმინდა სანთლის ჩამოსასხმელი ქარხანა. ამ ქარხანაში ის ამზადებს წმინდა თაფლის სანთელსაც და სხვა ნივთეულებისაგან შემზადებულს ნარევ სანთელსაც. წმინდა სანთელს ფუთს ჰყიდის ოცდა ექვს მანეთად და მდაბალი სორტის სანთელს —ოცდა სამ მანეთად. მრავალი პირები ყიდულობენ ამ ქარხანაში სანთელს. ამ ქარხანას ხელს უწყობს საეკკლესიო სანთლის დუქანიც, რომელიც არსებობს ქუთაისში. ამ დუქანში სანთელი აღარ არის; ელიან მოსკოვიდან, მაგრამ იანვრის თვე გავიდა და სანთელი ჯერეთ არსად არის.

სანთლის დუქანი პასიკოვს გაუხსნია სობოროს გვერდზე, ათ ნაბიჯზე და საეკკლესიო სანთლის დუქანი კი სალაცა მივარდნილ ქუჩაზე არის, რომელსაც ძნელად მიაგნებს უცნობი პირი.

***

Iვენ შევიტყვეთ, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორა ჰკრეფს ცნობებს სამრევლო ეკკლესიების მამულებზე, რომელნიც ეკკლესიებს დარჩა საეკკლესიო მამულების ხაზინის უწყებაში გადასვლის შემდეგ. ძლიერ კარგი იქნება ამ მამულებს ყურადღება მიექცევოდეს და რიგიანათ ვაჭრობით გაიცემოდეს. Ერთი ამისთანა საეკკლესიო მამული, როგორც გვაცნობებენ, ს. ჩხარში ვაჭრობით გაცემულა ოცდა ცამეტ მანეთად. Bოლოს გაუგიათ ეს გლეხებს, გაქცეულან ქუთაისში და სამოცი და ასი მანეთიც უძლევიათ ეპისკოპოსისათვის, ოღონდ ჩვენ მოგვეცი იჯარითო. Იმერეთის ეპისკოპოსს უწინდელი ვაჭრობა გაუუქმებია და ხელახალი ვაჭრობა დაუნიშნავს. Აქ ორში ერთია საფიქრებელი: ან ბლაღოჩინს არ შეუტყობინებია საზოგადოებისათვის ამ ადგილის ვაჭრობით გაცემა და ან ვაჭრობა „მოხერხებულია“.

***

Hოგორც შევიტყვეთ, Იმერეთის ეპარხიის სამღვდელოებას კიდევ ექმნება არა ჩვეულებრივი შეკრებილება ქ. ქუთაისში დიდმარხვის მეორე კვირიაკის დასაწყისში სემინარიის დაარსების შესახებ. სამეგრელოს სამღვდელოებას ჩვეულებრივი შეკრებილება ექმნებათ Თომას კვირიაკის შემდეგ თავიანთ სასწავლებლის შესახებ საქმეზე.

ჟურნალ-გაზეთთა მიმოხილვა.

Შასამტკიცებელად იმა ცნობისა, რომელიც ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ მსოფლიო პატრიარქის სამსახურიდამ გამოსვლისა, მოგვყავს დაწვრილებითი ცნობები ამ საგნისავე შესახებ „Დროებაში“ დაბეჭდილი:

„Kარგა ხანია, რაც ოსმალეთის მმართებლობის და კონსტანტინოპოლის მართლ-მადიდებელი ეკკლესიის შორის განხეთქილება დაიწყო და ამ ბოლოს დროს იქამდინ მიაღწია, რომ ეხლა ოსმალეთის შინაურს პოლიტიკაში ამ განხეთქილებას უჭირავს პირველი ადგილი და ისედაც დახლართული საქმეები ოსმალეთისა, ამან უფრო დახლართა და გაამნელა.

Mიზეზი ამ განხეთქილებისა მდგომარეობს იმაში, რომ სულთანი და მისი მმართებლობა შეეხნენ იმ განსაკუთრებულ უფლებათ და პრივილეგიათ, რომელნიც მართლ-მადიდებელ ეკკლესიას აქვს მინიჭებული იმავ თავითვე, თითქმის იმ დღიდგან, როდესაც სულთან მურადმა კონსტანტინოპოლე დაიპყრო. ეს პრივილეგიები ანიჭებენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანთ უფლებას, სხვათა შორის, ზოგიერთა თავის საკუთარ საქმეთა გამგეობისას, ანუ, სწორედ ვსთქვათ, ავტონომიას, თვით-გამგეობას, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელმძღვანელობით და წინამძღოლობით. სასულიერო საქმეთა გარდა, ქრისტიანები განაგებდენ და სწყვეტდენ სამოქალაქო საქმეთაც, როგორც მაგალითად, ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა ამ გვარ საქმეთა. ამისათვის დანიშნული იყო სინოდი კონსტანტინოპოლის პატრიარქის თავმჯდომარეობით და ყოველივე საქმენი, რომელნიც მარტო მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს შეეხებოდენ, ექვემდებარებოდენ პატრიარქის და სინოდის გარდაწყვეტილებას. საქმის განხილვის დროს სინოდში იღებდენ მონაწილეობას აგრეთვე ზოგიერთა ერის-კაციც.

Uქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გვარი წესი საქმეთა გამგეობისა არ იყო უნაყოფო ქრისტიანებისათვის და ბევრი სიკეთე და სარგებლობაც მიუნიჭებია მათთვის.

Შა აი ოსმალეთის მმართებლობა ამ წეს-წყობილებას შეეხო და, რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარი მალადობა დიდს უკმაყოფილებას და მღელვარებას აღძრავდა მართლ-მადიდებელ ქრისტიანებში. პორტამ განიზრახა ჩამოერთვა პატრიარქისთვის, სხვათა შორის, ქორწინების და მემკვიდრეობის საქმეთა გამგეობა, რაიცა შეადგენს უმთავრესს საგანს იმ ავტონომიისას, რომელიც მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს აქვთ მინიჭებული, და ამის გამო, ცხადია, რომ არ შეიძლებოდა ოსმალეთის მმართებლობას დათანხმებოდენ ამაზედ მართლ-მადიდებელი ქრისტიანები. მართლაც და—გაიგეს თუ არა ოსმალეთის მთავრობის ამ გვარი განზრახვა, სულ ერთიანად ფეხზე ადგნენ არამც-თუ სამღვდელოება, არამედ ყოველნი ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანები; ყოველგან, სადაც კი ქრისტიანები სცხოვრობენ, საშინელი მღელვარება დატყდა და ყოველი კუთხიდამ წინააღმდეგობა მოისმა. ოსმალეთის მთავრობამ პირველად ყურადღება არ მიაქცია ამ მღელვარებას და ამის გამო პატრიარქმა მაშინვე აიყარა თავისი ხარისხი და სინოდმაც მოსპო თვისი მოქმედობა. ამ შემთხვევამ, რასაკვირველია, უფრო აალელვა ქრისტიანები და რომ საქმე იქამდის მივიდა, როდესაც ქრისტიანების საზოგადო და აშკარა აჯანყებას ბევრი აღარა აკლდა-რა, მაშინ კი ინებეს დაფაცურებაც სულთანმაც და მისმა მმართებლობამაც; ეხლა თითონვე უგზავნიან პატრიარქს შუა-კაცებს და თითქმის

ეხვეწებიან—მოდი მოვილაპარაკოთ ერთმანეთში და როგორც იყოს მოვრიგდეთო; მაგრამ პატრიარქი არა თანახმდება და უთვლის, რომ მას დღეს აქეთ, რაც მე პატრიარქობა ავიხადე მე უბრალო ეპისკოპოსი ღა ვარ და აღარავითარი უფლება აღარა მაქვს მორიგებაზე მოლაპარაკებისაო. სინოდიც თავის მხრივ იმას ამბობს, რომ ჩვენ თავმჯდომარე. პატრიარქი აღარა გვყავს და უიმისოდ არც შეგვიძლიან და არც გვინდა რამე საქმის დაწყებაო.

ყობის დღესასწაულებმა რომ მოატანეს, მართლ-მადიდებელს ქრისტიანებს მაშინ უფრო დაეტყოთ შფოთვა, რომელიც იქამდის ძლიერი იყო, რომ სტამბოლის მთავრობა შეშინდა—ქუჩებში უწესოება არა მოხდესრაო. ამ უწესოებას უფრო შობა დღეს მოელოდენ და ამის გამო სულთანმა შობის წინა-დღეს კიდევ გაუგზავნა შუაკაცი პატრიარქს და სთხოვა—სვალ საღმრთო მსახურება აღასრულე და ყოველი ეპარქიის ეპისკოპოზს უბრძანე, რომ იმათაც აგრეთვე აღასრულონ ამ დღეს დადებული ეკკლესიური წესიო; ეს საჭიროა იმისათვის, რომ შეიძლება ქრისტიანებმა ურიგობა რამ მოახდინონ ქალაქშიო. პატრიარქმა ამაზედაც ისევ ის უპასუხა, რომ მე აღარა ვარ მართლ მადიდებელი ეკკლესიის მოთავე და ამისათვის აღარც საღმრთო მსახურების აღსრულება შემიძლიან პატრიარქის წესზედა და აღარც არავისი ბრძანებაო. ამასთანავე. შეუთვალა პატრიარქმა. რომ ჩემს ხარისხს ისევ ვიტვირთებ, თუ დაამტკიცებ იმ პრივილეგიათ, რომელნიც მართლ-მადიდებელს ეკკლესიასს ჰქონდა მინიჭებული, და თუ ამაზედ ისეთსავე ბარათსაც მომცემ, როგორსაც იძლეოდენ შენი წინა-მოადგილენიო. პატრიარქმა თავისი გაიყვანა და შობა დღეს არა სწირა; არც არაფერი უწესობა მომხდარა, რადგანაც მთავრობამ წინათვე მიიღო ამის წინააღმდეგ ზომები; მაგრამ სულთანმა მაინც აცნობა პატრიარქს, რომ ნათხოვნს ბარათს მისცემს იგი და კიდეც ნაბძანები აქვს ამ ბარათის შედგენა.

ბარათის მიცემის თაობაზე მინისტრების რჩევასაც ჰქონია კრება, რომელზედაც მიუწვევიათ აგრეთვე რამდენიმე გავლენიანი ბერძენი. რა გადასწყვიტეს ამ კრებაზე. ჯერ სწორედ არავინ იცის,—მხოლოდ ხმები კია, ვითომც მინისტრები ეწინააღმდეგებოდენ ბარათის მიცემას, და ეს სწორედ ნამდვილიც უნდა იყოს, ე. ი. უეჭველია, სულთანის მინისტრები თავის სიტყვას არ გასტეხენ და პატრიარქს არაფერს დაუთმობენ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავიანთ ღირსებას დაამდაბლებენ და დაჰკარგვენ ყოველს მნიშვნელობას და ხალხის ნდობას.

მაგრამ ისიც კი უნდა ითქვას, რომ თუ მინისტრებმა არ დააკმაყოფილეს პატრიარქის თხოვნა, მაშინ საქმე ძალიან სამწუხარო მიმართულებას მიიღებს და, შესაძლებელია, ეს ჯიუტობა ოსმალეთს სიოცხლეთ დაუჯდეს. ეს გარემოება კარგად შეუგნიათ ევროპის სახელმწიფოთ და თავისი ელჩების პირით ურჩევენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანების დაკმაყოფილებას. თუმცა პორტას, როგორც ეტყობა, არ უნდა სახელმწიფოთა რჩევის მიღება, მაგრამ საქმე ისე მიდის, რომ სხვა აღარა გზით არ შეუძლიან ქრისტიანების დაწყნარება, თუ არ აღუდგინა მათ ის უფლებანი, რომელთა დარღვევამაც გამოიწვია მათ შორის ესოდენი შფოთი. ამ აზრს ამტკიცებენ თვით ოსმალეთის გამგენიც; მაგ., კუნძული კრიტის გუბერნატორი და სხვა პროვინციების მმართველნი, სადაც კი მართლ-მადიდებელი ბერძნები სცხოვრობენ, აცნობებენ თავის მთავრობას სტამბოლში, რომ თუ პატრიარქს არ მოურიგდით, ქრისტიანები უთუოდ საზოგადო აჯანყებას მოახდენენო.

ამასვე ჰფიქრობს საზოგადოდ ავსტრიის პრესსა, რომელიც ამ საქმეს გულ-მოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს, და ურჩევს ოსმალეთს უთუოდ დააკმაყოფილოს პატრიარქი. თორემ ამ განხეთქილებას სამწუხარო შედეგი მოსდევს ოსმალეთისთვისაო, შეუძლიან აღმოსავლეთის საქმესაც თავი გამოაყოფინოს და ეს გარემოება არც ევროპის საზოგადო მშვიდობიანობისათვის იქმნება სასურველი და მიუძლურებულს ოსმალეთსაც სიცოცხლეს მოუსწრაფებსო.

ქრისტიანების აჯანყება ოსმალეთში მით უფრო მოსალოდნელია, რომ ისინი მტკიცედ არიან დარწმუნებულნი—რუსეთი არ მოითმენს მართლ-მადიდებელი ეკკლესიის შევიწროებას, დაჩაგვრას და—ადრე თუ გვიან—წამოესარჩლება მასაო.

~~~~~~

ამავე გაზეთშივე ვკითხულობთ თელავის სამღვდელოების შედგენილ პროტოკოლებზე საქართველო ექსარხოსის არქიეპისკოპოსის პავლესაგან შემდეგ დასმულ რეზოლიუციებს და შენიშვნებს:

1) კრებას არ ჰქონდაო უფლება თავისივე განკარგულებით ჯარიმა გადაეხდევინებინა იმ დეპუტატებისათვის, რომელნიც არ გამოცხადდენ კრებაზედ, არამედ უნდა წარედგინა ამაზედ თხოვნა მისის ყოვლად-უსამღვდელოესობისათვის, რომელნიც თუმცა ამტკიცებს მათს გარდაწყვეტილებას, მაგრამ შენიშვნას აძლევს უწესოდ მოქცევისათვის.

2) კრებას არ უნდა ამოერჩია სასწავლებლის ოჯახობრივი ნაწილის გამგე პირი. ეს უკანონო განკარგულება რჩება დაუმტკიცებელი და სასწავლებლის გამგეობა თითონვე ამოირჩევს ოჯახობრივი ნაწილის გამგე პირს.

3) სამღვდელოება ყოველ მხრივ უნდა ეცადოს სასწავლებლის ეკკლესიის აშენებას.
~~~~~~

4) აწყურის წმიდის გიორგისა და გავაზის წმიდის გიორგის ეკკლესიები არ არიან ვალდებულნი შემოიტანონ სასწავლებლის ასაშენებლად იმოდენა შესაწირავი, რომელსაცა სდებს მათ კრება, არამედ მარტო კანონიერი პროცენტი, რომელიც განაწილებით შეხვდებათ. მხოლოდ სამღვდელოებას შეუძლიან აწყურის ეკკლესიიდან ისესხოს 1400 მან. და გავაზის ეკკლესიიდგან 900 მან. და გადაუხადოს შემდეგ ეს ვალი ნაწილ-ნაწილ.

5) ექსარხოსის კანცელიარია მიმართავს თხოვნით თელავის საზინას, რომ მაისის სათხოთველო (маисская треть) ჯამაგირიდამ გამოერიცხოს თელავის სასწავლებლის ოლქის კრებულთა ხუთ-ხუთი მან. და გაეგზავნოს სასწავლებლის გამგეობას სასწავლებლის შენობის ასაშენებლად.

6) კრებას არა ჰქონდა უფლება თითონ მიეთითებინა სასწავლებლის გამგეობისათვის, რათა მიეღო მასწავლებლად თუთბერიძე. ამიტომ გამგეობა აირჩევს სხვა მასწავლებელს და თუთბერიძეს უარი ეთქმება, რადგანაც მას სწადდა უკანონოდ მიეღწია თვისის განზრახვისათვის.

7) შესახებ იმისა, რომ ახლანდელი დეპუტატები დარჩნენ დეპუტატებადვე ორს მომავალ კრებაზე,—ექსარხოსი არა ჰხედავს დაბრკოლებას, თუ რომ ამის თანახმა იქმნება ამომრჩეველი სამღვდელოებაც.

8) შესახებ იმ შენიშვნის, რომელიც გამოუცხადა კრებამ სასწავლებლის გამგეობას კლასის ოთახების დაქირავებაზე—ექსარხოსი აუწყებს, რომ კრება არ არის მთავრობითი ინსტანცია გამგეობისა და ამიტომ არ შეუძლიან მისცეს რაიმე შენიშვნა, ყოველივე უკანონო მოქმედება გამგეობისა, კრებამ უნდა აცნობოს ყოვლადუსამღვდელოესს და არა პირ-და-პირ უსაყვედუროს გამგეობას.

ამიტომ თავმჯდომარეს კრებისას მღვდელს გარდიშვილს ეძლევა სასტიკი შენიშვნა და კრებას საყვედური უფლების გადამეტებისათვის. სასწავლებლის გამგეობა დაუყოვნებლივ მისცემს პასუხს ექსარხოსს იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელთაც სწამებს მას კრება.“

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

სიტყვა,

თქმული საქართველოს ექსარხოსის არხიეპისკოპოსის პავლეს მიერ თბილისის კათედრის სობოროს განახლების დროს 16 ოკდომბერს 1883 წელსა.

კურთხეულ არს Მამა Ღმერთი ჩვენი, რომელმაც მოგვცა ჩვენ ძალი და შეძლება განახლებისათვის და კურთხევისათვის ამა წმიდისა სიონის სობოროისა! კურთხეულ არს ყოვლად წმიდა ქალწული Ღვთის-მშობელი Მარიამი, რომელსაც წილად ხვდა საქართველო. კურთხეულ არს ზეცათა მპყრობი, რომელმაც მოგვცა შემწეობა და ძალა ამ წმიდა ტაძრის განმშვენიერებისა,—ტაძრისა, რომელიც შეშვენის სიწმიდეს ამა ქალაქისა და ჩვენი მხარისასა. ჩვენგან ახლად განახლებული და კურთხეული სიონის ტაძარი არის დიდი სახალხო სიწმიდე! ეს წმიდა ტაძარი დიდის დროიდგან რამოდენჯერმე ტანჯული იყო Ქრისტეს სარწმუნოების და წმიდა მართლმადიდებლობის გულისათვის. ის ჯვარის სახეთ არის აღშენებული და მრავალი საუკუნოების განმამავლობაში ჯვარით მოსილი იტანჯებოდა Იესო Ქრისტეს სახელისათვის. დიდი დრო მოუნდა ამ ტაძრის აღშენებას. მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ჩაიდვა მისი საძირკველი და მხოლოდ მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრის ბოლოს გათავებულ იქმნა მისი შენება. ამნაირად წმიდა სობორო, თითქმის, ორ საუკუნის განმამავლობაში ნელ-ნელა შენდებოდა და მტკიცედ და საფუძვლიანად აღშენებული შეურყევლად სდგას აგერ ათასი წელიწადი. ის თავის მრავალ საუკუნეების არსებობის დროს რამდენჯერმე გაუცარცვავთ, გაუოხრებიათ და შეუგინებიათ ქრისტიანეთა მტრებს, რომელთაც რამდენჯერმე დაუპყრიათ ქ. ტბილისი, მაგრამ მტრებს ვერ დაუნგრევიათ ის მთლად საძირკვლამდის. მასზე, როგორც სატახტო ქალაქის პირველ სიწმიდეზე, დაეცემოდნენ ხოლმე საქართვე-

ლოის და ქრისტიანობის მტერნი წმიდა ტაძარს; აოხრებდნენ და იტაცებდნენ ტაძრის საუნჯეს, ჭგმობდნენ და ჭიცხავდნენ მის სიწმიდეს, აფუჭებდნენ მის სიმშვენიერეს. ერთმა თავხედმა და ბოროტმა ქვეყნის დამპყრობმა, დჯელალ-ედ დინმა, გაბედა წმიდა ტაძრის გუმბათის მოკვეთა და, როგორც ის, აგრეთვე თვითონ ტაძარი ლიფოსტროტონად აქცია; საიდამაც ის პილატესავით, რომელმაც უბრალოდ დასაჯა Ქრისტე, სიკვდილით დასჯას უცხადებდა იმ ქრისტიანეთა, რომელნიც Ქრისტეს სარწმუნოებას არ უარ ჰყოფდნენ და მათი სიკვდილით და ტანჯვით სტაბებოდა ხოლმე. დაქცევის და გაოხრების შემდეგ კეთილ-მსახურნი ხელმწიფენი და ხალხი ხელახლავ განაახლებდნენ ხოლმე ტაძარს; მაგრამ შემდეგ სხვა მტრები ისევ აოხრებდნენ და აქცევდნენ მას. უწყალო და ბოროტ მტრებს წმიდა სიონის ტაძარი ბევრჯელ დაუქცევიათ. მაგრამ წმიდა ტაძარი ამნაირ აოხრებისაგან განთავისუფლებული იქმნა, როცა საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ იქმნა მიღებულ. ქრისტიანეთა მტრებს წმიდა ტაძარი თუმც უწყალოდ აუოხრებიათ ხოლმე, მაგრამ ის მაინც, როგორც ადამანტი, შეუმუსრავად იდგა. ტაძარი რამოდენ ჯერმე ისე აუოხრებიათ, აუკლიათ და გაუმახინჯებიათ ხოლმე მტრებს, რომ მას არც სიწმიდის სახე და არც მშვენიერება არ შერჩენია. ახლანდელი მშვენიერი სახე სიონის ტაძარმა რუსეთის მართებლობის დროს მიიღო. აგურისაგან აღშენებული სიონის ტაძარი ეხლა გარშემორტყმულია მტკიცე და მშვენიერი თლილი ქვით და დახურულია ბრწყინვალე რკინის სახურავით. ტაძარი შიგნით გამოჩენილმა რუსის მხატვარმა მშვენიერი საღმრთო მხატვრობით და სხვა და სხვა სამკაულით გაამშვენიერა და ამ ნაირად ის, ჭეშმარიტად, ცის მსგავსი გახადა. თუმც ტაძრის სიმშვენიერე დროთა ვითარებისაგან მეტად გაფუჭდა, მაგრამ ახლა წმიდა ტაძარი ხელ-ახლად განაახლეს და ამ ნაირად იგივე სახე და ფორმა მისცეს, როგორიც უწინ ჰქონდა მას. უეჭველია, რომ ის რუსეთის მფარველობის ქვეშ ისეთ მშვენიერად შეინახება, როგორც მის სიწმიდეს შეშვენის. ვისურვოთ, რომ წმიდა სიონის სოგორო რამდენიმე საუკუნის და ათასი წლის განმავლობაში რუსის მართებელობის მფარველობის ქვეშ შეურყევლად მდგარიყვეს. ვისურვოთ აგრეთვე, რომ ის ყოფილიყოს მრავალი საუკუნის ძეგლად და მასთან საქართველოს და რუსეთის კეთილ-მსახურების ძეგლად; წმიდა სიონის ტაძარი საქართველოს სამეფოის ისტორიისთვის და საქართველოს ეკლესიის სჯულის ფიცარია. ტაძრის ბედი და თავ-გადასავალი სამეფოის და ხალხის ბედთან შეკავშირებული და შეერთებულია; ტაძრის ბედი ხალხის და ეკლესიის ბედის თავ-გადასავალს წარმოგვიდგენს: საქართველოს ხალხის და მათი ეკლესიის ისტორიული ცხოვრება მეტად ძნელი იყო... Ივთის-მშობელს საქართველო წილად ხვდა, იმიტომ კი არა, რო მისი მცხოვრებნი ქვეყნიური ცხოვრების სიტკბოებით დამტკბარიყო, არამედ უბედურებაში და განსაცდელში ზნეობითად მომზადებულიყო საუკუნო ნეტარებისათვის.

Იმერთს თუ კი უყვარს რომელიმე კერძო პირი, ანუ მთელი ხალხი, მათ საუკუნო ნეტარებას ტანჯულ ცხოვრების საშეალებით მიანიჭებს ხოლმე. და Ივთის მშობლის მხვედრს—საქართველოს ეკლიანი გზა ჰქონდა მხვედრად. საქართველო მხოლოდ თამარ დედოფლის მეფობის დროს დიდს ბედნიერებაში იყო... დავით და ლუარსაბი განმაახლებელნი და სხვა მეფეებიც ძლივსღა ასწრობდნენ იმ ჭრილობების განკურნებას, რომლებსაც მტრები მათ სამშობლოს აყენებდნენ. და ამისთანა მტრები რამდენი ჰყავდა საქართველოს! რა უთვალავ ტანჯვას და აოხრებას აყენებდნენ ისინი საქართველოს! ყველა მეომარნი ხალხნი, ყველა სასტიკი დამპყრობნი აზიისა უწყალოდ აოხრებდენ საქართველოს და ნიშნად მასში სამწუხარო კვალს სტოვებდნენ. საქართველოს რამდენჯერმე დასცემიან თავს სპარსელები, არაბები, ხაზარები, თათრები და მონგოლები, რომლებიც აქცევდნენ, აოხრებდნენ ქალაქებს და წმიდა ტაძრებს; თვით მეფეებს, ეკლესიების მსახურთა და საწყალ მცხოვრებლებს აწვალებდნენ და, შემდეგ წვალებისა, ზოგს კიდევაც ჭკლავდნენ და ზოგნი ტყვედ მიჰყავდათ. თუმც ამისთანა ვაი ვაგლახში და ტანჯვაში იყო ქართველი ერ., მაგრამ მაინც თავიანთ სარწმუნოებას მტკიცედ იცავდა, იმათ არასფერი ტანჯვის არ ეშინოდათ და ამიტომ ბევრს ქართველებს თავიანთი სიცოცხლე სიხარულით შეუწირავს სამშობლოსთვის და ეკლესიისათვის. მაგრამ ასე ცოტა ხალხი მაინც არ დავარდნილა და არ დადუჭულა თავიანთი მტრების აოხრებით და დაქცევით. საქართველო, შემდეგ წარ-

მოუდგენელ აოხრებისა, ისევ ღონიერდებოდა და კეთილ ცხოვრებას ხელა-ხლავ იწყებდა. საქართველო მთელს თავის ძალას და შეძლებას თავის სიცოცხლის დაცვისათვის ხმარობდა და ამიტომაც არც დრო, არც შეძლება არა ჰქონდა, რომ თავის გონებით განვითარებაზე და შინაურ საქმეების კეთილ განწყობილებაზე ეფიქრა. არსებობისთვის ბრძოლაში, რასაკვირველია, არც მოქალაქობრივ ცხოვრებას, არც Ⴖვთის-მეტყველებითი აზრს არ შეეძლო გაღვიძება. უთვალავ და მძლავრ მტრებთან ჰქონდა საქართველოს ბრძოლა და ამ ბრძოლაში თან-დათან სუსტდებოდა მისი ძალა: ამნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველო და მისი ეკკლესია იძულებული შეიქნა ეთხოვა რუსეთისათვის შემწეობა და მფარველობა და კიდევაც იპოვა მან ესრეთი შემწეობა და მფარველობა. ის რუსეთთან მშვენიერ პირობაებით არის დამყარებული. როგორც სიონის ტაძარი შემოსილ არს გარედგან თლილი ქვით რუსეთის მართებლობის დროს, აგრეთვე ქართველი ხალხი და მათი ეკკლესიაც დაფარულია რუსეთის და მისი ეკკლესიის ძალით მტრების აოხრებისაგან და უშიშარი და განსვენებული ცხოვრებით სტკბება. როგორც რუსის გამოჩენილმა მხატვარმა ლამაზად გაამშვენიერა წმიდა სიონის ტაძრის შინაგანი მხარე მშვენიერი საღმრთო გამოხატულებით და სხვა და-სხვა სამკაულით, აგრეთვე რუსეთის მმართველობა ჰფენს საქართველოში მოქალაქობრივ ცხოვრებას და ამდიდრებს მას განათლებით და მეცნიერული ცოდნით და სურს ქართველების ყოველ-მხრივი განვითარება. ვისურვოთ, რომ რუსთა და ქართველთა ემსახურონ ერთმანეთს თავისი კეთილ-დღეობისათვის; აგრეთვე ვისურვოთ, რომ მათ შორის მტკიცე კავშირი სუფევდეს და ეს კავშირი ყოფილიყოს ნიშნად მუდმივი გონებითი განვითარებისა და წარმატებისა!

Ⴛმანო და დანო, წმიდა სიონის ტაძრის ბედი თვითონ ჩვენი ბედის და განგების მაგალითს წარმოგვიდგენს. ნათლის-ღების შემდეგ ჩვენ სუყველანი,—ჩვენი სული და სხეული—Ⴖვთის ტაძარია (კორ. ვ, ით), ჩვენში Ⴖვთის სული ცხოვრობს, ცხოვრობს თვითონ Ⴖმერთი (ა—კორ. გ, ივ), თუმც თვითონ ჩვენ არ გავსდევნით მას ჩვენი უწმინდური ცხოვრებით და ცოდვილი საქმეებით. ჩვენი უძლური სხეულისთვის მეტად სამძიმოა, მაგრამ მაცხოვნებელია ჩვენთვის, როცა სხვანი ცდილობენ ჩვენი სულის ტაძრის დანგრევას, გაქრობას და დამახინჯებას (ა—კორ, გ—იზ) სხვა-და-სხვა გარეგანი შეწუხებით და დევნით და ცდილობენ ჩვენს შეწუხებას, მაგრამ არ ძალ-უძსთ ჩვენი სულიერად გარყვნა. ვისაც სურს კეთილად ცხოვრება Ⴈესო Ⴕრისტეს სახელით, ამბობს წმიდა მოციქული, დევნილნი იქმნებიან (ბ—ტიმ. გ, იბ), მაგრამ გარეგანი დევნა, თუმც არ ჰბადავს ჩვენში ბოროტებას, არამედ გვამხნევებენ სიკეთისადმი, არამც თუ არ აფუჭებს ჩვენი სულის ტაძარს, არამედ მოთმინებითა და თავის-თავის განწირვითა უფრო განამტკიცებს და განამშვენიერებს მას. ამითი სულიერი ტაძრები ბევრად სჯობიან ნივთიერ ტაძრებს. ხშირად გარეგანი მტრის ძალა ნივთიერ ტაძრებს აფუჭებენ, აქცევენ და ამახინჯებენ; სულიერ ტაძრებზე კი გარეგანი მტრის ძალას სრულებით არა აქვს გავლენა და კიდევაც უფრო კეთდებიან და უკეთეს სახეს იღებენ ეს სულიერი ტაძრები, თუმც სული არ ეცემა ამ ძალის წინ, არამედ სჯობნის მას. მართლაც, ის ხალხნი, რომელნიც დევნილ არიან მტერთაგან, მშვენიერ Ⴖვთის ტაძრებად ხდებიან. და მოგვანიჭოს ჩვენ Ⴓფალმა იმდენი შეძლება, რომ ჩვენ მწუხარების და განსაცდელის საშუალებით საუკუნო ნეტარებას მივაღწიოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ტანჯვა-წვალება და ჩვენი გაფუჭებული ბუნების შეცდომილებანი ყველა ქრისტიანეთა სასარგებლოდ და მხსნელად არ ბოლოვდება. ხშირად ჩვენი სულის ტაძარი ფუჭდება და ირყვნება ჩვენივე ცოდვილი გულისთქმათაგან და საქმით. ძალიან ხშირად ჩვენს სულში სახე Ⴓფლისა Ⴖვთისა და მისთა წმიდათა, რომელნიც წინათ ჩვენს სულში იყვნენ და კეთილ საქმისაკენ გვიწვევდნენ, ჰქრებიან, ფუჭდებიან და ხან სულ იკარგებიან ჩვენის სულიდგან. აგრეთვე არა იშვიათად ჩვენი სული ემზგავსება ხოლმე მისთანა ტაძრის კედლებს, რომლებზედაც არასფერი მხატვრობა არ მოიპოვება და რომელნიც უკვე კომლისაგან და მჭვარტლისაგან გაშავებულან და მტვერისაგან დაფარულა. ხანდის-ხან ჩვენი სულის ტაძარს კიდევ ამაზე უარესი ემართება: მას წმიდა სახე შორდება და მის მაგიერ ბილწებითა და ცოდვითა აღვსილი სახე იბადება. ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ ჩვენი სული სრულებით აღარ ირიცხება Ⴖვთის ტაძრად და ამის მაგიერად იქცევა საბუდრად ცოდვისა და ბოროტებისა.

Ⴛმანო და დანო! საჭიროა ყურადღებით დავიცვათ ჩვენ ჩვენი სულის ტაძარი და როგორც შევამჩნიოთ მისი ცოტათი მაინც შემცირება, მაშინვე ვიხმაროთ საშუალებანი, რომ რამე გზით ავაცილოთ მას გაოხრება და შემცირება. აი საშუალებანი, რომელთა შემწეობით შეგვიძლიან ჩვენ ჩვენი სულის ტაძარი განვსწმინდოთ შემარცხვენელთა და დამაბნელებელთა ცოდვათაგან, გავამშვენიეროთ, შევამკოთ ის, როგორც მის სიწმიდეს შეესაბამება; ამისთვის საჭიროა შემდეგი საშუალებანი: ცოდვათა მონანება, მეცადინეობა, რათა განვსდევნოთ ჩვენი სულისაგან ყოველნაირი ცოდვა და სიბილწე შენანების ცრემლებით, საჭიროა მუდმივი ბრძოლა მტერთან, რომელიც სიკეთის და ნეტარების გზაზე გვეღობება, ვედრება Ⴖვთისადმი, რათა გვეყოს ჩვენ შემწედ და მფარველ; ვევედროთ მას, რათა მოგვანიჭოს ცხოვრებაში კეთილი წარმატება.

Ⴅისურვოთ, რომ წმიდა სიონის ტაძარი იდგეს შეურყევლად რამდენიმე საუკუნე და რამდენიმე ათას წელიწადს!

Ⴀგრეთვე ვისურვოთ, რომ რუსეთმა და მისმა ეკლესიამ, აგრეთვე მისმა ნაწილმა—საქართველომ და საქართველოს ეკლესიამ შეურყევლად განაგრძონ არსებობა, რათა კეთილ-ცხოვრებდნენ და აღორძინდებოდნენ, ერთმანეთის მოხმარებით მიივლტოდენ საზოგადო ბედნიერებისა და კეთილ-ცხოვრებისადმი. ვეცადოთ აგრეთვე, რომ ჩვენი სულის ტაძრები წმინდათ ინახებოდნენ, რათა ღირს იყვნენ წოდებად Ⴖვთის საცხოვრებელ ადგილად! ვევედროთ რათა Ⴓფალი Ⴖმერთი ჩვენი განუშორებლად და საუკუნოდ იყვეს ჩვენში, არა თუ მარტო აქ, ქვეყანზედ, არამედ ზეცათა შინა და ყოვლად სახიერმა Ⴓფალმა ყველანი ჩვენ გვაცხოვნოს. ამინ.

რიცხვი.	დღე.	კალენდარული ცნობები, ფებერვლის თვისა 1—29 რიც.
1	ოთხ.	წმიდისა მოწამისა ტრიფონისა.
2	ხუთ.	მიგებება უფ. ჩვენ. ი. ქრისტესი. უქმი ყოვ.
3	პარას.	წმ. დ მართლ. სვიმეონისა დ ანნა წინასწარმ.
4	შაბ.	ღირსისა მამისა ჩვენ. ისიდორე პილუსიტ.
5	კვირა.	კჳრიაკე. ႪႤ. ხმა Ⴄ. საცისკ. სახარება Ⴄ. წმ. მოწამისა აღათიასი.
6	ორშ.	ღირსისა მ. ჩვენისა ვუკოლესი.
7	სამშ.	ღირსისა მამისა ჩვენისა პართენი ეპისკ.
8	ოთხ.	წმ. დიდ. მოწამისა თეოდ. სტრატილატისა.
9	ხუთ.	წმ. მოწამისა ნიკიფორესი.
10	პარას.	წმ. მოწამისა ხარალამპისი.
11	შაბ.	წმ. მღვდ. მოწ ვლასისი.
12	კვირა.	კჳრიაკე ႪႥ. ხორციელი დაურწყება. ხაცისკ. სახარება Ⴄ. ხმა Ⴄ. ხორცთაკრება წმ. მორის მ. ჩვენ. მელეტი დიდ.
13	ორშ.	ღირსისა მამისა ჩვენისა მარტინიანესი.
14	სამშ.	ღირსისა მამისა ჩვენისა ავქსენტისი.
15	ოთხ.	წმიდისა მოციქულისა ონისიმესი.
16	ხუთ.	წმიდისა მოწამისა პამფილესი.
17	პარას.	წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე ტირონისა.
18	შაბ.	წმ. მორის მ. ჩვენისა ლეონ რომთა პაპისა.
19	კვირა.	კჳრიაკე ყველიერ დაურწყებისა საცისკ სახარება Ⴇ ხმა Ⴇ. წმ. მოც. არქიპოსი.
20	ორშ.	წმიდათა მორის მ. ჩვენისა ლეონტისი.
21	სამშ.	ღირსისა მ. ჩვენისა ტიმოთესი.
22	ოთხ.	პოვნა პატიოსანთა ნაწილთა წმ. მოწამეთა რომელნი იყვნეს ევგენიას შინა.
23	ხუთ.	წმ. მღვდ. მოწამისა პოლიკარპე ეპისკოპ.
24	პარას.	პირველი დ მეორე პოვნა პატიოსნისა თავისა წინამორბედისა.
25	შაბ.	წმ. მორის მ. ჩვენისა ტარასი ეპისკოპოს.
26	კვირა.	პირველი კჳრიაკე მარხვისა. ხმა Ⴄ. საცისკრო სახარება Ⴄ. წმ. მორის მამისა ჩვენისა პორფირი ღაზელ მთავარ ეპისკოპოსისა. შობა მისის Ⴃიდებულებისა ႨႫႮႤႰႠႲႭႰႨႱ ႠႪႤႵႱႠႬႣႰႤ ႠႪႤႵႱႠႬႣႰႤႱ ႻႨႱႠ.
27	ორშ.	ღირსისა მ. ჩვენ. პროკოპი აღმსარებელისა.
28	სამშ.	ღირსისა მ. ჩვენ. დ აღმსარებელ. ვასილისი.
29	ოთხ.	ღირსისა მ. ჩვენისა კასიანე რომაელისა.
		პირველი ფებერვლიდამ ოცდა ცხრა ფებერ-დე დღეს მოემატება ორი საათი და შვიდი მინ.

განცხადებანი.

რედაქციაში ისყიდება, პირველად შედგენილი ქართულს ენაზედ სახალხო სამკურნალო წიგნი, **კარაბადინი** შედგენილი მ. დ. **ღამბაშიძის-მიერ.**

ეს **კარაბადინი** განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა კაცის ტანის აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ. მეორე ნაწილში არის მოყვანილი გიგიენური დარიგება და სწავლა ჯან-მრთელობის დაცვაზედ. მესამე ნაწილში არიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი სნეულებანი და მათი წამლობა. მეოთხე ნაწილში არიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, მოქმედება და ხმარება. ბოლოს, დამატებაში არის მოყვანილი მოწამვლისაგან ავათ გამხდარი კაცის ნიშნები და სხვა-და-სხვა საშუალებაები ავათმყოფის მოსარჩენად.

ეს წიგნი ყველასათვის საჭირო და სასარგებლოა. ბევრს შეუძლია სხვა გაჭირვებულ ავათ მყოფებსაც საშუალება აღმოუჩინონ. ამისთანა პირებში პირველი ადგილი უკავიათ სოფლის პრიხოდის მღვდლებს, რომელნიც ყველაზედ ნამეტნავად არიან დაახლოვებულნი სოფლის ხალხთან.

წიგნის ფასი ყველგან გაგზავნით ყდიანი ღირს **მანეთად.**

ამ წიგნის ყიდვა შეიძლება:

ქ. თფილისში, ზრიქუროვის და შავერდოვის წიგნების მაღაზიებში. **გორში,** გორის სასულიერო სასწავლებლის მაწავლებელ პ. ბურჯანაძესთან. **სურამში,** დიაკონ თადეოზ შველიძესთან. **ქუთაისში,** მურადოვის და ჭილაძის მაღაზიებში. **დაბა საჩხერეში,** მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. **დაბა ზუგდიდში,** ბლაღოჩინ დეკანოზ მეუნარგიასთან. **დაბა ოზურგეთში,** სოფლის სკოლის მასწავლებელ **იასონ** კაპანაძესთან. **დაბა ლაილაშში,** ბლაღოჩინ ილარიონ ზერსამიასთან.

შეიძლება ამ წიგნის დაბარება **„მწყემსის“** რედაქციიდამ.

ყველა ზემო-ხსენებულ ადგილებში შეუძლიათ ყიდვა მსურველთა; **მღვდლებთათვის სახელმძღვანელო წიგნისა,** რომელსა შინა არის სხვათა შორის დარიგება საეკკლესიო საბუთების შედგენაზე. ეს უკანასკნელი წიგნი იყიდება თითო **ორ აბაზად.**

ვიღებ

როგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკკლესიის **კანკელებს** და **კიოტებს** გასაკეთებლად. ყოველ საქმეს შევასრულებ რიგიანათ და პირიანათ.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. თფილისში, საპერნის ქუჩაზედ, ალექსანდროვის სახლში, № 8.

კანცელისა და მებელის ოსტატი
დავით გიგაური.

ქუთაისში ვასილ ნიკოლაძის

„პატარა მაღაზიაში“

ისყიდება

შოთა რუსთველის ალებასტრის სახე

ფასი 1 მან. და 25 კ.

Дозв. цензурою Кутаисъ, 3 Февраля 1884 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა და ფერაძისა.